

შპს ქეი ემ სი გლასი

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება და
კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება,
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და
ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

შპს ქეი ემ სი გლასი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება:

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	8
კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	10

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	11
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	11
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	19
4. ძირითადი საშუალებები	21
5. მარაგები	22
6. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში	22
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	22
8. ფული და ფულის ეკვივალენტები	23
9. მიღებული სესხები	23
10. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	23
11. შემოსავალი	23
12. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	24
13. მიწოდების და რეალიზაციის ხარჯები	24
14. საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	24
15. (ზარალი)/მოგება საკუროსო სხვაობიდან, წმინდა	25
16. სხვა არასაოპერაციო ხარჯები	25
17. ფინანსური შემოსავალი	25
18. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	25
19. წინა პერიოდის რეკლასიფიკაციები	27
20. კაპიტალის რისკის მართვა	27
21. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	28
22. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	29
კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება	30

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ქეი ემ სი გლასის მენეჯმენტსა და მესაკუთრეს

დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს ქეი ემ სი გლასის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებულ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კონსოლიდირებულ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებასა და კონსოლიდირებულ ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებს, მათ შორის არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მათი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მსს ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტის შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მარაგები 2024 და 2023 წლის წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოადგენილია შესაბამისად 2,121,968 და 2,394,332 ლარის ღირებულებით. ჯგუფს არ ჩაუტარებია მარაგების ინვენტარიზაცია ზემოაღნიშნული თარიღების მდგომარეობით. მარაგების სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვა ალტერნატიული პროცედურითაც ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტის მტკიცებულების მოპოვება ზემოაღნიშნულ თარიღებში მარაგების არსებობასა და მდგომარეობაზე. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა კორექტირების შეტანა მარაგებთან და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა შესაბამის ელემენტებთან მიმართებით.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ შპს ქეი ემ სი გლასისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) (ბესს-ის კოდექსი) და იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ მოთხოვნებით და ბესს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობას წარმოადგენს, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების ზედამხედველობით, უზრუნველყოს სამეურნეო სუბიექტის საქმიანობის წარმართვა კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის, ისეთი კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების დებულებების დაცვით,

რომლებიც ადგენს სამეურნეო სუბიექტის ფინანსურ ანგარიშგებაში და წლიურ ანგარიშში წარსადგენი თანხების ოდენობასა და გასამქლავებელ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის (შემდგომში „კანონი“) მოთხოვნების შესაბამისად მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მომზადებაზე, ასევე ისეთი შიდა კონტროლის დანერგვაზე და მათი საწამოო პროცესში უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე, რომელიც აუცილებელია თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) მოსამზადებლად.

„კანონი“-ს შესაბამისად ჩვენ მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა), შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა ის კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას, ასევე თანხვედნილია თუ არა იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ამ მიზნით ჩატარებული პროცედურები ეყრდნობა პროფესიულ მსჯელობას, რომელიც მოიცავს გამოკითხვას, დოკუმენტალურ შემოწმებას და ანალიზს, ასევე კანონის მოთხოვნებთან კომპანიის პროცედურების, პოლიტიკების და ანგარიშგებული ინფორმაციის შედარებას, წარმოდგენილი რაოდენობრივი და სხვა ინფორმაციის ურთიერთშედარებას, გადათვლასა და შეჯამებას.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში (საქმიანობის მიმოხილვა), გვევალება ამ ფაქტის შესახებ ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხების გარდა, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ჩვენი აზრით, აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, გარდა პირობითი მოსაზრების აბზაცში აღნიშნული საკითხებისა::

- კონსოლიდირებული ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) შეესაბამება შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს კანონით მოთხოვნილ შესაბამის ინფორმაციას;
- კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების შესაბამისი ნაწილი (საქმიანობის მიმოხილვა) თანხვედრაშია იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მსს ფასს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტის შესაბამისად. შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის

გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის და კომპანიას ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია ან კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

• მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტის მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

აუდიტორის დასკვნის დანიშნულება და გამოყენება

აღნიშნული დასკვნის შინაარსი, მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით, შედგენილია ჯგუფის მენეჯმენტისა და დამფუძნებლებისათვის. დამკვეთი უფლებამოსილია შემსრულებლის მიერ შედგენილი დოკუმენტი გამოიყენოს მხოლოდ შემდეგი მიზნებისთვის (და არა რომელიმე სხვა მიზნით: ა) შიდა განხილვის მიზნებისთვის, ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად, 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებით, კანონის შესაბამისი სავალდებულო მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, ატვირთოს აუდიტორის დასკვნა, აუდიტრულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ანგარიშგების პორტალზე www.reportal.ge

აღნიშნული დასკვნის - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - გაცემით, ჩვენ არ ვიღებთ და არც მოვიაზრებთ რაიმე სახის პასუხისმგებლობას აღნიშნული დასკვნის რომელიმე სხვა მიზნით ან რომელიმე სხვა პირის მიერ გამოყენების შემთხვევაში, მათ შორის იმ პირის წინაშე რომლისთვისაც აღნიშნული დასკვნა და მისი შინაარსი - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - რაიმე გზით გახდა ხელმისაწვდომი, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ჩვენს მიერ ასეთი პასუხისმგებლობა ცალსახად და გარკვევით, წინასწარ, წერილობითი ფორმით იყო აღიარებული შესაბამისი პირის წინაშე.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ლევან პაპიაშვილი

რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-387992

შპს კრესტონ ჯორჯიას სახელით (ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-342289)

პ. ქავთარაძის 1 შესახვევი #10; სართული 3, ოფისი 4, თბილისი 0186, საქართველო

1 დეკემბერი, 2025 წელი

• მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტის მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოეთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

აუდიტორის დასკვნის დანიშნულება და გამოყენება

აღნიშნული დასკვნის შინაარსი, მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით, შედგენილია ჯგუფის მენეჯმენტისა და დამფუძნებლებისათვის. დამკვეთი უფლებამოსილია შემსრულებლის მიერ შედგენილი დოკუმენტი გამოიყენოს მხოლოდ შემდეგი მიზნებისთვის (და არა რომელიმე სხვა მიზნით: ა) შიდა განხილვის მიზნებისთვის, ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად, 2024 წლის საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებით, კანონის შესაბამისი სავალდებულო მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, ატვირთოს აუდიტორის დასკვნა, აუდიტებულ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ანგარიშგების პორტალზე www.reportal.ge

აღნიშნული დასკვნის - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - გაცემით, ჩვენ არ ვიღებთ და არც მოვიაზრებთ რაიმე სახის პასუხისმგებლობას აღნიშნული დასკვნის რომელიმე სხვა მიზნით ან რომელიმე სხვა პირის მიერ გამოყენების შემთხვევაში, მათ შორის იმ პირის წინაშე რომლისთვისაც აღნიშნული დასკვნა და მისი შინაარსი - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - რაიმე გზით გახდა ხელმისაწვდომი, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ჩვენს მიერ ასეთი პასუხისმგებლობა ცალსახად და გარკვევით, წინასწარ, წერილობითი ფორმით იყო აღიარებული შესაბამისი პირის წინაშე.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ლევან პაპიაშვილი

რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-387992

შპს კრესტონ ჯორჯიას სახელით (ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-342289)

პ. ქავთარაძის 1 შესახვევი #10; სართული 3, ოფისი 4, თბილისი 0186, საქართველო

1 დეკემბერი, 2025 წელი



შპს ქეი ემ სი გლასი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	5,488,573	1,270,393
არამატერიალური აქტივები		-	2,400
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	6	-	663,898
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები		5,488,573	1,936,691
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	5	2,121,968	2,394,332
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	10,384,138	12,260,515
საგადასახადო აქტივები, წმინდა		30,761	153,230
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	14,905,134	13,623,502
მთლიანი მოკლევადიანი აქტივები		27,442,001	28,431,579
სულ აქტივები		32,930,574	30,368,270
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1,159,321	-
გაუნაწილებელი მოგება		29,660,192	27,682,624
მთლიანი კაპიტალი		30,819,513	27,682,624
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	2,111,061	2,685,646
მთლიანი მოკლევადიანი ვალდებულებები		2,111,061	2,685,646
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		32,930,574	30,368,270

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება (გვ. 7-29) ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია
2025 წლის 1 დეკემბერს.

გიორგი ქირია ქეთევან თოფურიძე

დირექტორი მთავარი ბუღალტერი

შპს ქეი ემ სი გლასი

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	11	59,303,968	77,563,023
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	12	(48,936,800)	(61,734,452)
საერთო მოგება		10,367,168	15,828,571
მიწოდების და რეალიზაციის ხარჯები	13	(348,525)	(554,041)
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	14	(936,051)	(1,162,376)
საოპერაციო მოგება		9,082,592	14,112,154
(ზარალი)/მოგება საკუროსო სხვაობიდან, წმინდა ფინანსური ხარჯი	15	(297,478) (1,226)	1,034,035 -
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	16	(785,535)	-
ფინანსური შემოსავალი	17	144,762	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		78,767	4,691
მოგება დაბეგვრამდე		8,221,882	15,150,880
მოგების გადასახადი		(1,004,327)	(607,438)
წლის მოგება		7,217,555	14,543,442
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ მთლიანი სრული შემოსავალი		7,217,555	14,543,442

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება (გვ. 7-29) ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია
2025 წლის 1 დეკემბერს.

გიორგი ქორია

ქეთევან თოფურიძე

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

შპს ქეი ემ სი გლასი

კონსოლიდირებული კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	არამაკონტორლებელი წილი	სულ კაპიტალი
1 იანვარი 2023	-	16,581,329	-	16,581,329
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	14,543,442	-	14,543,442
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	14,543,442	-	14,543,442
დივიდენდის გაცემა	-	(3,442,147)	-	(3,442,147)
ოპერაციები მფლობელებთან	-	(3,442,147)	-	(3,442,147)
31 დეკემბერი 2023	-	27,682,624	-	27,682,624
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	7,217,555	-	7,217,555
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	7,217,555	-	7,217,555
კაპიტალის შევსება	1,159,321	-	1,159,321	1,159,321
დივიდენდის გაცემა	-	(5,239,987)	-	(5,239,987)
ოპერაციები მფლობელებთან	1,159,321	(5,239,987)	1,159,321	(4,080,666)
31 დეკემბერი 2024	1,159,321	29,660,192	1,159,321	30,819,513

11-28 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

		2024	2023
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან			
მიღებული საოპერაციო ფულადი ნაკადები			
რეალიზაციიდან მიღებული ფული		66,153,093	82,444,440
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები		(46,395,706)	(62,229,618)
ხელფასები და თანამშრომლების სხვა სარგებელი		(506,990)	(1,033,173)
გადახდილი გადასახადები		(9,648,587)	(10,541,126)
გადახდილი პროცენტი	9	(1,226)	-
სხვა ფულადი ნაკადები		(49,421)	1,610,437
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		9,551,163	10,250,960
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში		(72,865)	(663,898)
ძირითადი საშუალებების შეძენა		(4,792,444)	(625,527)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო გამოყენებული საქმიანობაში		(4,865,309)	(1,289,425)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხის აღება	9	848,220	-
სესხის დაფარვა	9	(850,900)	-
ფინანსური შემოსავალი	17	144,762	-
გადახდილი დივიდენდი		(4,587,732)	(3,442,147)
საწესდებო კაპიტალის შევსება		1,159,320	
წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული საფინანსო საქმიანობაში		(3,286,330)	(3,442,147)
ფულადი სახსრების წმინდა ნაკადი		1,399,524	5,519,388
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებზე		(117,892)	130,691
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	8	13,623,502	7,973,423
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს		14,905,134	13,623,502

11-28 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	5,488,573	1,270,393
არამატერიალური აქტივები		-	2,400
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	6	-	663,898
მთლიანი გრძელვადიანი აქტივები		5,488,573	1,936,691
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	5	2,121,968	2,394,332
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	10,384,138	12,260,515
საგადასახადო აქტივები, წმინდა		30,761	153,230
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	14,905,134	13,623,502
მთლიანი მოკლევადიანი აქტივები		27,442,001	28,431,579
სულ აქტივები		32,930,574	30,368,270
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1,159,321	-
გაუნაწილებელი მოგება		29,660,192	27,682,624
მთლიანი კაპიტალი		30,819,513	27,682,624
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	2,111,061	2,685,646
მთლიანი მოკლევადიანი ვალდებულებები		2,111,061	2,685,646
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		32,930,574	30,368,270


2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება (გვ. 7-29) ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 1 დეკემბერს.

გიორგი ქირია

დირექტორი

ქეთევან თოფურიძე

მთავარი ბუღალტერი



შპს ქეი ემ სი გლასი

კონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)


	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	11	59,303,968	77,563,023
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	12	(48,936,800)	(61,734,452)
საერთო მოგება		10,367,168	15,828,571
მიწოდების და რეალიზაციის ხარჯები	13	(348,525)	(554,041)
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	14	(936,051)	(1,162,376)
საოპერაციო მოგება		9,082,592	14,112,154
(ზარალი)/მოგება საკუროსო სხვაობიდან, წმინდა ფინანსური ხარჯი	15	(297,478)	1,034,035
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	16	(1,226)	-
ფინანსური შემოსავალი	17	(785,535)	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		144,762	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		78,767	4,691
მოგება დაბეგვრამდე		8,221,882	15,150,880
მოგების გადასახადი		(1,004,327)	(607,438)
წლის მოგება		7,217,555	14,543,442
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ მთლიანი სრული შემოსავალი		7,217,555	14,543,442

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება (გვ. 7-29) ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 1 დეკემბერს.

გიორგი ქირია
დირექტორი



ქეთევან თოფურიძე
მთავარი ბუღალტერი



11-28 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს ქეი ემ სი გლასი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ქეი ემ სი გლასი (ს/ნ 405217787, შემდგომში „მშობელი კომპანია“) დაფუძნდა 2017 წელს. შპს ქეი ემ სი გლასი ფლობს სამ შვილობილ კომპანიას და ერთობლივად მოხსენიებულია, როგორც „ჯგუფი“. სამივე შვილობილი კომპანია რეგისტრირებულია საქართველოში.

კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ზურაბ საკანდელიძის ქუჩა, N21, კომერციული ფართი, N1, სახლი N16.

ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისათვის ჯგუფის 100%-იანი წილის მფლობელი და ამავდროულად დირექტორი არის გიორგი ქირია.

შპს ქეი ემ სი გლასი ახორციელებს მინის ბოთლების იმპორტს საქართველოში. რეალიზაციას ახდენს როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე მის საზღვრებს გარეთ.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მშობელი კომპანია წარმოადგენს ჯგუფის მშობელ კომპანიას და ფინანსურ ანგარიშგებაში იკონსოლიდირებს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

- შპს ქეი ემ სი საწყობი (ს/ნ 405655465), 100%-იანი წილი,
- შპს მეღვინეობა შედანი (ს/ნ 405743888), 100%-იანი წილი,
- შპს ბიქეი ლოჯისტიკი (ს/ნ 405698268), 50%-იანი წილი.

საოპერაციო გარემო

საოპერაციო გარემო - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის (დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ შენიშვნა 4) და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს / IFRS for SME's) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და ასევე განმარტებით შენიშვნებს სააღრიცხვო პოლიტიკისა და გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობებისა და დაშვებების ჩათვლით.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება ჯგუფის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების

ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია თვითღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. თვითღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, ჯგუფი იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, ჯგუფი ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, ჯგუფის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

ხელმძღვანელობის მხრიდან ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება ეყრდნობა ბიზნესის ზრდად ტენდენციას, კერძოდ აქტივების ზრდას. კომპანიამ 2024 წელი დაასრულა მოგებით, ასევე მას აქვს დადებითი ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

2024 წლის საანგარიშგებო პერიოდში ჯგუფის შემოსავალი და წლის მოგება მნიშვნელოვნად შემცირდა, ძირითადად რუსეთის მიერ დაწესებული იმპორტირებული ღვინისა და სპირტიანი სასმელების აქციზის გადასახადის ზრდის შედეგად, რამაც შეამცირა ქართული ღვინის მწარმოებლების ექსპორტის მოცულობა. რამდენადაც გაყიდვები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადგილობრივი ღვინის მწარმოებლების საქმიანობაზე, აღნიშნულმა ფაქტორმა ჯგუფის მიერ შეთავაზებულ პროდუქციაზე მოთხოვნის შემცირება გამოიწვია. თუმცა აღსანიშნავია, რომ ჯგუფის მომხმარებლებს არ წარმოადგენს მხოლოდ ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი საწარმოები, რაც არსებითად აძლიერებს ჯგუფის ფუნქციონირებადობის პერსპექტივას.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

ჯგუფის სამუშაო და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად ანგარიშგების თარიღისთვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე და კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ (ზარალი)“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

შპს ქეი ემ სი გლასი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

თარიღი	USD	EUR
31-დეკ-2023	2.6894	2.9753
31-დეკ-2024	2.8068	2.9306

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალსე ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალსე ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (და გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

კონსოლიდაციის საფუძვლები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ჯგუფისა და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებებს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც ჯგუფი იღებს, ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება და შეუძლია ამ უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე თავისი გავლენის გამო.

კერძოდ, ჯგუფი აკონტროლებს ინვესტიციის ობიექტს მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- ჯგუფს აქვს უფლებამოსილება ინვესტიციის ობიექტზე (ანუ უფლებები მას საშუალებას აძლევენ მართოს ინვესტიციის ობიექტის რელევანტური საქმიანობა);
- ჯგუფს გააჩნია ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგების მიღების უფლება ან მგრძნობელობა; და
- ჯგუფს შეუძლია უკუგებაზე ზემოქმედება ინვესტიციის ობიექტზე გავლენის გამო.

თუ ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში არ ფლობს აქციების საკონტროლო პაკეტს ან სხვა მსგავსი უფლებების უმრავლესობას, იმის შეფასებისას, ინვესტიციის ობიექტზე ახორციელებს თუ არა კონტროლს, ჯგუფი ყველა აქტუალურ ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს.

შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს მასზე კონტროლს. შვილობილი საწარმოს წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შვილობილ საწარმოზე ჯგუფის მიერ კონტროლის შეძენის თარიღიდან კონტროლის დაკარგვის თარიღამდე. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგება მზადდება ანგარიშგების იმავე პერიოდისთვის, რომლისთვისაც - მშობელი კომპანიის ანგარიშგება, შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებით. ჯგუფის ყველა შიდა ნაშთი, ოპერაცია, ჯგუფის შიდა ოპერაციებით განპირობებული არარეალიზებული ნამეტი შემოსავალი, ზარალი და დივიდენდები, სრულად არის გაქვითული.

შპს ქეი ემ სი გლასი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის (ქართულ ლარში)

სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება ჯგუფის მშობელი კომპანიის დამფუძნებლებსა და არასაკონტროლო წილის მფლობელებს მაშინაც კი, თუ ეს არასაკონტროლო პაკეტის ბალანსის დეფიციტს იწვევს. საჭიროების შემთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან. ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა ჯგუფის შიდა აქტივი და ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად გაიქვითება.

შვილობილი კომპანიის კაპიტალში წილის შეცვლა, კონტროლის დაკარგვის გარეშე წილობრივი გარიგების სახით აღირიცხება. თუ ჯგუფი კარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე, იგი:

- ჩამოწერს შვილობილი კომპანიის აქტივებს (გუდვილის ჩათვლით) და ვალდებულებებს;
- ჩამოწერს უმცირესობის წილის საბალანსო ღირებულებას;
- აღიარებს მიღებული ანაზღაურების სამართლიან ღირებულებას;
- აღიარებს ნებისმიერი გაუნაწილებელი ინვესტიციის სამართლიან ღირებულებას;
- აღიარებს ნებისმიერ დეფიციტს ან მეტობას სრული შემოსავლის ანგარიშგებაში;

მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიცირება

აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მიმდინარე და გრძელვადიანი კლასიფიკაციის მიხედვით.

აქტივი კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე, როდესაც: ან მოსალოდნელია მისი რეალიზაცია ან მისი გაყიდვა ან მოხმარება ჯგუფის ნორმალურ საოპერაციო ციკლში; ჯგუფი მას ფლობს ძირითადად გაყიდვის მიზნით; მოსალოდნელია მისი რეალიზაცია საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან 12 თვის განმავლობაში; ან აქტივი არის ნაღდი ფული ან ფულადი ექვივალენტი, თუ არ არის შეზღუდული მისი გაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო პერიოდიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. ყველა სხვა აქტივი კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი.

ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე, როდესაც: ან მოსალოდნელია მისი დაფარვა კომპანიის ნორმალურ საოპერაციო ციკლში; იგი იმართება ძირითადად ვაჭრობის მიზნით; ის გადახდილი უნდა იყოს საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის განმავლობაში; ან არ არსებობს უპირობო უფლება, ვალდებულების დაფარვის გადავადების საანგარიშგებო პერიოდის დასრულებიდან არანაკლებ 12 თვით. ყველა სხვა ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულება ყოველთვის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალეები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

გადასახადები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

მიმდინარე გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე/(ზარალზე), რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

მიმდინარე საგადასახადო მოდელის მიხედვით, რომელიც საქართველოში მოქმედებს 2017 წლის 1 იანვრიდან („კორპორატიული დაბეგვრის ესტონური მოდელი“), მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით გაუნაწილებელ მოგებაზე, და 15%-იანი განაკვეთით განაწილებულ მოგებაზე. ცვლილებების შედეგად, 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (მოგების, როგორც დივიდენდის განაწილება აქციონერებზე) და კონსოლიდირებული ტრანზაქციები, რომლებიც შეიძლება მოგების ირიბად განაწილებად ჩაითვალოს (სარგებელი, საჩუქარი, გადახდები, ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, რომლებიც არ არის განხორციელებული გაშლილი ხელის პრინციპით, ხარჯები რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან და სხვა).

დივიდენდის გაცემიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად იმ პერიოდში, როცა დივიდენდი გამოცხადდა, მიუხედავად მათი რეალური გადახდის თარიღის, ან პერიოდისა, რომელშიც მოხდა ამ დივიდენდის გატანა. განაკვეთი წარმოადგენს განაწილებული მოგების 15/85 ნაწილს.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან და არ არის ასახული ამ ფინანსურ ანგარიშგებებში.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), რომელიც უკავშირდება გაყიდვებს, გადასახდელია საგადასახადო ორგანოში, როდესაც მოხდება საქონლის ან მომსახურების მიწოდება. შესყიდვებზე გადახდილი დღგ ჩაითვლება გადასახდელ დღგ-სთან, როდესაც მოხდება კომპანიის მიერ ანგარიშ-ფაქტურის მიღება. საგადასახადო ორგანოსმიერ ნებადართულია რომ დღგ-ს ანგარიშსწორება განხორციელდეს ნეტო ბაზისზე. გაყიდვებზე და შესყიდვებზე დარიცხული დღგ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია ნეტო თანხით. როდესაც კომპანიის მიერ მოთხოვნებთან დაკავშირებით იქმნება გაუფასურების ანარიცხი, იგი მოიცავს მისაღები დღგ-ს თანხებსაც.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, დეპოზიტებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელიც წარმოიშვა.

შპს ქეი ემ სი გლასი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობები	20 წელი
ოფისის აღჭურვილობა	5 წელი
ავტო და ინვენტარი	5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	8-10 წელი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

მარაგები

ჯგუფში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

ჯგუფის მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს საქმიანობასთან დაკავშირებულ ნედლეულსა და მასალებს და დაუმთავრებელ წარმოებას. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ჯგუფი ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამოძწევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, ჯგუფი აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ (ა) მოსალოდნელია, რომ ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ)

შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოიანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურეობის ვადის გათვალისწინებით.

ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში

მეკავშირე საწარმო არის საწარმო, რომელზეც ინვესტორს გააჩნია მნიშვნელოვანი გავლენა და, ამავე დროს, იგი არ არის არც შვილობილი საწარმო და არც წილი ერთობლივ საქმიანობაში.

მნიშვნელოვანი გავლენა ნიშნავს ინვესტორის მიერ ინვესტირებული საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობის უფლებამოსილებას, რაც არ გულისხმობს ინვესტორის მიერ ამ პოლიტიკაზე კონტროლის ან ერთობლივი კონტროლის უფლებას.

ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში აღრიცხულია თვითღირებულების მოდელით.

ინვესტიციის გაუფასურების შემთხვევაში თვითღირებულებიდან გამოკლებული იქნება დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

გრძელვადიანი აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ჯგუფი განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება გრძელვადიანი აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, კომპანია ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ამონაგების აღიარება

ჯგუფი ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია კომპანიას მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასთან დაკავშირებული და სხვა ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვა - საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურების გაწევა - ჯგუფი ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო ჯგუფმა დასაქმებულისგან.

წინასწარ გადახდილი ხარჯები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

წინასწარ გადახდილი ხარჯები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი.

დივიდენდები

ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე, დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება.

საოპერაციო იჯარა

ჯგუფი, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის. საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარდგება „რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების“ ან „საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების“ მუხლში თავისი შინაარსის მიხედვით.

ჯგუფი, როგორც მეიჯარე - საიჯარო შემოსავალი წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის შემოსავლად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან. კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- ჯგუფს აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;

- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიას ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ბ) გადასახადები

ჯგუფის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, ჯგუფი აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც ჯგუფს მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, ჯგუფს მინიმუმამდე დაჰყავს აღნიშნული რისკი.

გ) ფინანსური აქტივების გაუფასურება

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ის მიიღებს ფინანსურ ზარალს. ჯგუფი იმყოფება საკრედიტო რისკის ქვეშ ფინანსური აქტივების გავლენით, ფულის, საბანკო ანგარიშებისა და სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ჩათვლით. საკრედიტო რისკი ბანკში არსებულ საბანკო ანგარიშებთან მიმართებაში იმართება საბანკო დაწესებულებების დივერსიფიკაციის გზით, მხოლოდ მნიშვნელოვანი რეპუტაციის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებში. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, სავაჭრო მოთხოვნები დაჯგუფდა ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე რეალიზაციის მიხედვით. ფიზიკურ პირებზე კომპანია რეალიზაციას ახორციელებს მხოლოდ ნაღდი ანგარიშსწორებით ან საბანკო განვადებით და არ წარმოექმნება სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები იურიდიულ პირებთან შეფასებული იქნა ინდივიდუალურად, განვლილი დღეების და სავაჭრო პარტნიორებზე კომპანიის ხელთ არსებული ინფორმაციის შესაბამისად. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

დამოკიდებულია გაყიდვების საგადახდო ისტორიაზე ბოლო 12 თვის მანძილზე, ასევე შესაბამისი განცდილი საკრედიტო ზარალზე მოცემულ პერიოდში.

დ) მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულება

ჯგუფის მენეჯმენტი აფასებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებებს, თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული ყველაზე საიმედო მტკიცებულებების გათვალისწინებით. ამ მარაგების მომავალ რეალიზაციაზე შეიძლება გავლენა იქონიოს სამომავლო ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა, ან ბაზრის სხვა ცვლილებებმა, რამაც შეიძლება შეამციროს მომავალი სარეალიზაციო ფასები.

ე) დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები

ჯგუფი შედის გარიგებებში მის დაკავშირებულ მხარეებთან. მსს ფასს მოითხოვს გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას სამართლიანი ღირებულებით. ჯგუფი განიხილავს, არის თუ არა გამოყენებული საბაზრო ფასი ტრანზაქციის განხორციელებისას, სადაც არსებობს აქტიური ბაზარი ასეთი გარიგებებისთვის. ასეთი მსჯელობის საფუძველს წარმოადგენს მსგავსი გარიგებები არადაკავშირებულ მხარეებთან.

შპს ქეი ემ სი გლასი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

4. ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	მიწის ნაკვეთები	შენობა- ნაგებობები	მანქანა - დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო სხვა საშუალებები	სულ
01.01.2023	-	600,560	24,998	48,842	57,130	36,500	1,297,140
შემოსვლა	-	51,381	36,473	4,263	12,822	-	625,527
გასვლა	-	-	-	-	-	-	(192,151)
31.12.2023	-	651,941	61,471	53,105	69,952	36,500	1,730,516
შემოსვლა	3,809,926	-	8,977	2,372	4,661	-	4,933,157
გასვლა	-	-	(8,359)	-	-	(36,500)	(705,320)
31.12.2024	3,809,926	651,941	62,089	55,477	74,613	-	5,958,353
დაგროვილი ცვეთა							
01.01.2023	-	(61,272)	(10,744)	(16,065)	(17,053)	-	(249,955)
ცვეთა	-	(33,279)	(7,996)	(10,117)	(13,387)	-	(237,803)
გასულების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	-	27,635
31.12.2023	-	(94,551)	(18,740)	(26,182)	(30,440)	-	(460,123)
ცვეთა	-	(24,058)	(6,395)	(2,791)	(10,123)	-	(168,304)
გასულების დაგროვილი ცვეთა	-	-	3,435	-	-	-	158,647
31.12.2024	-	(118,609)	(21,700)	(28,973)	(40,563)	-	(469,780)
წმინდა საბალანსო ღირებულება							
31.12.2023	-	557,390	42,731	26,923	39,512	36,500	1,270,393
31.12.2024	3,809,926	533,332	40,389	26,504	34,050	-	5,488,573

ჯგუფის საკუთრებაში არსებული არცერთი ძირითადი საშუალება არ წარმოადგენს ვალდებულებების უზრუნველყოფის საგანს. ცვეთის ხარჯი ასახულია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

შპს ქეი ემ სი გლასი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

5. მარაგები

	31.12.2024	31.12.2023
სარეალიზაციო საქონელი	1,934,108	902,595
საქონელი გზაში	175,263	1,478,083
ნედლეული და მასალები	1,796	2,089
საწვავი	10,801	11,565
სულ	2,121,968	2,394,332

მარაგების თვითღირებულება, რომლებიც აღიარდა ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში 2024 წლის პერიოდის მანძილზე შეადგენს 48,936,800 ლარს (2023: 61,734,452 ლარი).

ჯგუფის ვალდებულებები არ არის მარაგებით უზრუნველყოფილი.

6. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

ცხრილში მოცემულია შპს ქეი ემ სი გლასის ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში:

	31.12.2024	31.12.2023
შპს მელვინე	-	431,991
შპს ქართული ღვინის ტრადიცია	-	231,907
სულ	-	663,898

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში 2024 წელს სრულად გაუფასურდა მათი ზარალიანობის გათვალისწინებით.

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2024	31.12.2023
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	9,847,100	11,479,134
გაუფასურების რეზერვი	(32,533)	(31,111)
გადახდილი ავანსები	569,571	812,492
სულ	10,384,138	12,260,515

მოთხოვნის გაუფასურების რეზერვის მოძრაობა წლების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ნაშთი 01.01.2023	7,911
დარიცხვა	23,200
ნაშთი 31.12.2023	31,111
დარიცხვა	1,422
ნაშთი 31.12.2024	32,533

შპს ქეი ემ სი გლასი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

დაკავშირებულ მხარესთან არსებულმა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებმა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენა 75,854 ლარი (2023: 311,921 ლარი).

8. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31.12.2024	31.12.2023
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	160,188	1,401,721
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	14,744,946	11,665,075
შეზღუდული ფული	-	556,706
სულ	14,905,134	13,623,502

შეზღუდული ფული წარმოადგენს დაკავშირებული კომპანიის სასესხო ვალდებულების უზრუნველყოფის თანხას (207,000 აშშ დოლარი).

9. მიღებული სესხები

	ვალუტა	მოკლევადიანი 31/12/2024	მოკლევადიანი 31/12/2023
საბანკო სესხები	ლარი	-	-
სულ სესხები		-	-

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-
სესხის მიღება	848,220
დარიცხული პროცენტი	1,210
სესხის დაფარვა	(850,900)
გადახდილი პროცენტი	(1,226)
საკურსო სხვაობის ეფექტი	2,696
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-

10. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

	31.12.2024	31.12.2023
მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	1,977,212	2,342,014
მიღებული ავანსები	133,849	343,632
სულ	2,111,061	2,685,646

დაკავშირებულ მხარეებთან არსებულმა სავაჭრო და სხვა ვალდებულებებმა 2024 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით შეადგინა 142,564 ლარი (2023: 13,609).

შპს ქეი ემ სი გლასი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

11. შემოსავალი

	2024	2023
შემოსავალი ადგილობრივი რეალიზაციიდან	59,303,968	77,560,231
შემოსავალი ექსპორტიდან	-	2,792
სულ	59,303,968	77,563,023

საწარმო შემოსავალს აღიარებს მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში იმ შემთხვევაში, როდესაც იზრდება აქტივის ზრდასთან ან ვალდებულების შემცირებასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

12. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს სარეალიზაციოდ განკუთვნილი მარაგების ღირებულებას, რამაც 2024 წელს შეადგინა 48,936,800 ლარი (2023: 61,734,452).

13. მიწოდების და რეალიზაციის ხარჯები

	2024	2023
მიწოდების სახელფასო ხარჯი	170,775	405,496
საწვავის ხარჯი	29,436	13,246
მარკეტინგული ხარჯები	28,040	31,593
საიჯარო ქირა	31,051	15,000
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	87,823	88,706
სხვა ხარჯები	1,400	-
სულ	348,525	554,041

14. საერთო ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
შრომის ანაზღაურება	485,653	656,540
ცვეთა და ამორტიზაცია	168,305	237,803
ავტომობილის ხარჯი	42,607	122,226
ბანკის საკომისიოს ხარჯი	33,023	22,314
უსაფრთხოების დაზღვევა	16,352	18,791
საოფისე ხარჯი	814	7,031
კომუნიკაციის ხარჯები	9,164	9,395
სხვა ხარჯები	180,133	88,276
სულ	936,051	1,162,376

შპს ქეი ემ სი გლასი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

15. (ზარალი)/მოგება საკუროს სხვაობიდან, წმინდა

	2024	2023
ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებზე	152,669	(796,060)
ეფექტი მოთხოვნებზე	(669,823)	(262,469)
ეფექტი ვალდებულებებზე	814,632	24,494
სულ	297,478	(1,034,035)

16. სხვა არასაოპერაციო ხარჯები

	2024	2023
ინვესტიციის გაუფასურება მეკავშირე საწარმოებში	736,763	-
სხვა ხარჯი	48,772	-
სულ	785,535	-

17. ფინანსური შემოსავალი

	2024	2023
სადეპოზიტო ანგარიშზე დარიცხული პროცენტი	144,762	-
სულ	144,762	-

ჯგუფს სადეპოზიტო ანგარიშზე აქვს განთავსებული თანხა, აშშ დოლარში, რასაც ერიცხება სარგებელი წლიური 3,5%-ის ოდენობით.

18. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების მიხედვით არის, როდესაც:

ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;

ბ) მხარე არის საწარმოს ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;

გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტით გათვალისწინებული პირების ოჯახის წევრი;

დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ და არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები. დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე.

სხვა დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს ისეთი საწარმოები რომლებიც კონტროლდება ან რომლებზეც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ანგარიშვალდებულ საწარმოზე კონტროლის მქონე პირებს. კომპანია დაკავშირებულ მხარეებთან ახორციელებს შემდეგ ოპერაციებს: მინის ბოთლების რეალიზაცია, ხელფასების და სხვა სარგებლის გაცემა.

შპს ქეი ემ სი გლასი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

მშობელი საწარმო და კომპანიის ხელმძღვანელი პერსონალი

ინფორმაცია ჯგუფის დამფუძნებლების და ხელმძღვანელობის შესახებ წარმოდგენილია ახსნა-განმარტებით შენიშვნა 1-ში. ამასთანავე, არ არსებობს სხვა საბოლოო მშობელი საწარმო ან/და მაკონტროლებელი მხარე.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან არსებობს შემდეგი ნაშთები და განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	შვილობილი და მეკავშირე		სხვა დაკავშ. მხარე	ხელმძღვანელობა	სულ
	საწარმოები	სხვა დაკავშ.			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	75,854	-	-	75,854
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	142,564	-	-	142,564

სრული შემოსავლების ანგარიშგება	შვილობილი და მეკავშირე		სხვა დაკავშ. მხარე	ხელმძღვანელობა	სულ
	საწარმოები	სხვა დაკავშ.			
რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები	-	17,904	-	-	17,904
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	-	-	49,875	-	49,875
ინვესტიციის განხორციელება	72,865	-	-	-	72,865

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან არსებობს შემდეგი ნაშთები და განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	შვილობილი და მეკავშირე		სხვა დაკავშ. მხარე	ხელმძღვანელობა	სულ
	საწარმოები	სხვა დაკავშ.			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	311,921	-	-	311,921
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	13,609	-	-	13,609
ინვესტიცია შვილობილ და მეკავშირე საწარმოებში	663,898	-	-	-	663,898

შპს ქეი ემ სი გლასი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

სრული შემოსავლების ანგარიშგება	შვილობილი და მეკავშირე საწარმოები	სხვა დაკავშ. მხარე	ხელმძღვანელობა	სულ
რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები	-	291,921	-	291,921
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	-	-	425,750	425,750
ინვესტიციის განხორციელება	633,898	-	-	663,898

19. წინა პერიოდის რეკლასიფიკაციები

2023 წლის მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში განხორციელდა შემდეგი რეკლასიფიკაციები:

2023	თანხა ცვლილებამდე	რეკლასიფიკირება	თანხა ცვლილების შემდეგ
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	1,208,969	(46,593)	1,162,376
რეალიზაციისა და მიწოდების ხარჯები	507,448	46,593	554,041

20. კაპიტალის რისკის მართვა

კომპანიის მენეჯმენტი აფასებს კომპანიის კაპიტალის მოთხოვნას, რათა შეინარჩუნოს დაფინანსების ეფექტური საერთო სტრუქტურა და ამავე დროს თავიდან აიცილოს ზედმეტი დამოკიდებულება ნასესხებ სახსრებზე. ამ ანალიზისას გაითვალისწინება კომპანიის სხვადასხვა კლასის სესხების სუბორდინაციის დონეები. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს ამ სტრუქტურის კორექტირებებს იმ ეკონომიკური პირობებისა და რისკის მახასიათებლების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც ახასიათებს ძირითად აქტივებს. კაპიტალის სტრუქტურის კორექტირების მიზნით კომპანიამ შეიძლება შეცვალოს გასანაწილებელი დივიდენდების ოდენობა ან გაყიდოს აქტივები სესხების დასაფარად.

კომპანია კაპიტალზე კონტროლს ახორციელებს კაპიტალის თანაფარდობით სრულ დაფინანსებასთან. რომლის მაჩვენებელიც მისაღებ დონედ მიჩნეულია 0.2-0.7. აღნიშნული კოეფიციენტის კალკულაცია 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში:

	31/12/2024	31/12/2023
მთლიანი კაპიტალი	30,819,513	27,682,624
მინუს: ნაღდი ფული და ფული ბანკში	(14,905,134)	(13,623,502)

კაპიტალი	15,914,379	14,059,122
მთლიანი კაპიტალი	30,819,513	27,682,624
სესხები	-	-
სრული ფინანსირება	30,819,513	27,682,624
<i>კაპიტალის თანაფარდობა სრულ დაფინანსებასთან</i>	<i>0.52</i>	<i>0.51</i>

21. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულება არის საფასური, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვისას ან გადახდება ვალდებულების გადასაცემად ორგანიზებულ ოპერაციაში საბაზრო მონაწილეებს შორის შეფასების დღეს, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში იმ ბაზრის მიხედვით რომელზეც აქვს წვდომა ჯგუფს და ყველაზე ხელსაყრელია მოცემული თარიღისათვის. როცა შესაძლებელია, ინსტრუმენტის რეალურ ღირებულებას ჯგუფი განსაზღვრავს მოცემული ინსტრუმენტის მოქმედ ბაზარზე კოტირებული ფასით. ბაზარი მოქმედად ითვლება, თუ აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციები მიმდინარეობს საკმარისი სიხშირითა და მოცულობით, რათა უზრუნველყოს ინფორმაცია ფასების თაობაზე მუდმივ რეჟიმში.

თუ მოქმედ ბაზარზე არ არსებობს კოტირებული ფასი, ჯგუფი რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს შეფასების მეთოდების გამოყენებით. შერჩეული შეფასების მეთოდი მაქსიმალურად იყენებს დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს, მინიმალურად ეყრდნობა არასაბაზრო მონაცემებს და ითვალისწინებს ყველა იმ ფაქტორს, რომლებსაც ბაზრის მონაწილეები ფასის დადგენისას მიიღებდნენ მხედველობაში. თავდაპირველი აღიარებისას ამა თუ იმ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის გარიგების ფასი, ანუ გადახდილი ან მიღებული საკომპენსაციო თანხის რეალური ღირებულება. თუ ჯგუფი გადაწყვეტს, რომ რეალური ღირებულება თავდაპირველი აღიარებისას განსხვავდება გარიგების ფასისგან და რეალური ღირებულება არ დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების მოქმედ ბაზარზე არსებული კოტირებული ფასით და ეს ღირებულება არ ეფუძნება შეფასებას ისეთი მეთოდის საფუძველზე, რომლის ცვლადებიც მოიცავენ მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მონაცემებს, ასეთ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად შეფასდება რეალური ღირებულებით, რომელიც დაკორექტირდება სხვაობით ამ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის. ნებისმიერი სხვაობა ამ ღირებულებასა და შეფასების მეთოდით მიღებულ თავდაპირველ ღირებულებას შორის მოგვიანებით სათანადო წესით აღიარდება მოგებაში ან ზარალში, ინსტრუმენტის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს იმ დროისა, როცა შეფასება მთლიანად ეყრდნობა დაკვირვებადი ბაზრის მონაცემებს ან როდესაც გარიგება დაიხურება.

ჯგუფი ადგენს სამართლიან ღირებულებას შემდეგი იერარქიის გამოყენებით:

დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) მოქმედ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის;

დონე 2: მონაცემები გარდა იმისა, რაც შედის პირველ დონეში და რომლებიც თვალსაჩინოა როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული). ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მოქმედ ბაზარზე კოტირებული საბაზრო ფასები მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის; კოტირებული ფასები მსგავსი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც ნაკლებად აქტიურად მიიჩნევა; ან შეფასების სხვა მეთოდები,

რომლის ფარგლებშიც ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი არის პირდაპირ ან ირიბად თვალსაჩინო, საბაზრო მონაცემებიდან გამომდინარე;

დონე 3: აღნიშნული კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომლის ფარგლებში შეფასების მეთოდიკა მოიცავს მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობიან თვალსაჩინო მონაცემებს და არათვალსაჩინო მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ინსტრუმენტის შეფასებაზე. აღნიშნული კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასება ხდება მსგავსი ინსტრუმენტებისთვის კოტირებული ფასების საფუძველზე, რომლის ფარგლებში მნიშვნელოვანი არათვალსაჩინო კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო, რათა აისახოს სხვაობები ინსტრუმენტებს შორის.

სამართლიანი ღირებულების შეფასება, რომელიც გამოყენებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და სავაჭრო და სხვა ვალდებულებები მოხდა მე-2 და მე-3 იერარქიის საფუძველზე. აღნიშნული იერარქიებისთვის მოხდა დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდის გამოყენებით. რეალური ღირებულების შეფასება არაკოტირებული ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტებისთვის მოხდა მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელიც დადისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკის და დაფარვის ვადის მქონე ახალი ფინანსური ინსტრუმენტისთვის. 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის არ მომხდარა ცვლილება მე-2 და მე-3 დონის შეფასების იერარქიისთვის გამოყენებულ შეფასების მეთოდოლოგიაში. ფული და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით.

22. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2024 წლის 31 დეკემბრიდან ამ ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე ჯგუფმა გასცა 6,312,117 ლარის დივიდენდი.

23. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

შპს ქეი ემ სი გლასის ხელმძღვანელობამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დაამტკიცა 2025 წლის 1 დეკემბერს.

შპს ქეი ემ სი გლასი

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის



შპს „ქეი ემ სი გლასი“

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს ქეი ემ სი გლასი (ს/ნ 405217787, შემდგომში „მშობელი კომპანია“) დაფუძნდა 2017 წელს. შპს ქეი ემ სი გლასი ფლობს სამ შვილობილ კომპანიას და ერთობლივად მოხსენიებულია, როგორც „ჯგუფი“. სამივე შვილობილი კომპანია რეგისტრირებულია საქართველოში.

კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ზურაბ საკანდელიძის ქუჩა, N21, კომერციული ფართი, N1, სახლი N16.

ამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისათვის კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი და ამავედროულად დირექტორი არის გიორგი ქირია.

შპს ქეი ემ სი გლასი ახორციელებს მინის ბოთლების იმპორტს საქართველოში. რეალიზაციას ახდენს როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე მის საზღვრებს გარეთ.

ჯგუფის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება მოიცავს შემდგომ სარეალიზაციოდ შესყიდული მარაგების ყველა პირდაპირ დანახარჯს.

2024 წლის 31 დეკემბრის და ამ ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის მშობელი კომპანია ფლობს სამ შვილობილ კომპანიას:

კომპანიის დასახელება	პროცენტული მონაწილეობა	კონტროლის მიღების თარიღი
შპს ქეი ემ სი საწყობი (ს/ნ: 405655465)	100%	27/10/2023
შპს ბიქეი ლოჯისტიკი (ს/ნ:405698268)	50%	05/04/2024
შპს მეღვინეობა შედანი (ს/ნ:405743888)	100%	02/12/2024

სტრატეგია, განვითარების გეგმა

ჯგუფი მუდმივად ცდილობს ადგილობრივ ბაზარზე მოიძიოს ახალი დამკვეთები და არსებულ დამკვეთებთან განავითაროს თავისი თანამშრომლობა. ძირითადი აქტივი, რასაც კომპანია ეყრდნობა არის მაღალკვალიფიციური თანამშრომლები.

გამომდინარე აქედან, ჯგუფის უახლოესი განსაზღვრადი პერიოდის ბიზნეს სტრატეგიაა შეინარჩუნოს არსებული კლიენტები, რომელთა დაკავშირებითაც გაფორმებული არის მოკლევადიანი და გრძელვადიანი ხელშეკრულებები. აგრეთვე, ჯგუფის მიზანია დაამყაროს ბიზნეს ურთიერთობები ახალ დამკვეთებთან. ახალი დამკვეთების მოძიებაში კი ჯგუფს დაეხმარება ბაზარზე არსებული დომინანტური პოზიცია.

საოპერაციო გარემო

ჯგუფი პროდუქციის რეალიზაციას ახდენს მთელი საქართველოს მასშტაბით. როგორც განვითარებად ბაზარს, საქართველოს არა აქვს განვითარებულ საბაზრო ეკონომიკებისთვის დამახასიათებელი კარგად განვითარებული ბიზნესის ინფრასტრუქტურა და ნორმატიული ბაზა. საქართველოში საქმიანობა დაკავშირებულია ისეთ რისკებთან, რომლებიც, ჩვეულებრივ, არ არსებობს განვითარებულ ბაზრებზე (მათ შორის აღსანიშნავია ის, რომ ქართული ლარი არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ასევე მხედველობაშია მისაღები განუვითარებელი საკრედიტო და საფონდო ბაზრები). თუმცა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საბანკო, იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სისტემების ჩამოყალიბებისათვის საჭირო რეფორმების გატარების სახით, რაც დადებითად აისახება ზოგად საინვესტიციო კლიმატზე. ამ რეფორმებს შორისაა ახალი კანონმდებლობის მიღება (ახალი საგადასახადო კოდექსისა და საპროცესო კანონების ჩათვლით). ხელმძღვანელობის აზრით, აღნიშნული ნაბიჯები ამცირებს ბიზნესის წარმოების რისკებს საქართველოში.

მოსალოდნელია ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისკენ მიმართული არსებული ტენდენციის გაგრძელება. ქართული ეკონომიკის მომავალი სტაბილურობა დიდწილად არის დამოკიდებული ამ რეფორმებზე და იმაზე, თუ ქვეყნის ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები რამდენად იქნება ეფექტური ეკონომიკური, ფინანსური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განვითარებისათვის. ამასთანავე, საქართველოს ეკონომიკაზე გავლენას ახდენს განვითარებულ ქვეყნებში საბაზრო კრიზისი და ეკონომიკური შეფერხება.

2024 წლის საანგარიშგებო პერიოდში ჯგუფის შემოსავალი და წლის მოგება მნიშვნელოვნად შემცირდა, ძირითადად რუსეთის მიერ დაწესებული იმპორტირებული ღვინისა და სპირტიანი სასმელების აქციზის გადასახადის ზრდის შედეგად, რამაც შეამცირა ქართული ღვინის მწარმოებლების ექსპორტის მოცულობა. რამდენადაც გაყიდვები მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადგილობრივი ღვინის მწარმოებლების საქმიანობაზე, აღნიშნულმა ფაქტორმა ჯგუფის მიერ შეთავაზებულ პროდუქციაზე მოთხოვნის შემცირება გამოიწვია. თუმცა აღსანიშნავია, რომ ჯგუფის მომხმარებლებს არ წარმოადგენს მხოლოდ ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი საწარმოები, რაც არსებითად აძლიერებს ჯგუფის ფუნქციონირებადობის პერსპექტივას.

საქმიანობის მიმოხილვა

შპს „ქეი ემ სი გლასი“ ახორციელებს მინის ბოთლების იმპორტს და რეალიზაციას საქართველოში. ძირითადი იმპორტიორი ქვეყანაა რუსეთი. ჯგუფის მომხმარებლები არიან საქართველოში მოქმედი ღვინის და სხვა ალკოჰოლური და არალკოჰოლური სასმელის მწარმოებელი კომპანიები. დაფუძნების დღიდან ამარაგებს მათ მაღალი ხარისხის მინის პროდუქტით.

სუბიექტის ფილიალები

ჯგუფს აქვს სათაო ოფისი ქ. თბილისში და საწყობი კახეთში - სოფელ წინანდალში.

2024 წელს ჯგუფში შრომითი ხელშეკრულებით ადმინისტრაციაში დასაქმებული იყო 7 ადამიანი.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებები


ჯგუფი პერმანენტულად ახორციელებს ბაზარზე არსებული ფასების და კონკურენტების შესწავლას. ასევე ბაზრის მოთხოვნის შესწავლას.

კვლევების მიზანია ბაზრის საჭიროებების, ფასების და მოთხოვნების შეფასება და გათვალისწინება ყოველდღიურ საქმიანობაში.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლების განმარტებები

ჯგუფის თანამშრომლების რაოდენობა სტაბილურია, იხილეთ ცხრილი:

	თანამშრომლების წლიური საშუალო რაოდენობა	წლიური შემოსავალი
2024	7	59,303,968
2023	7	77,563,023



ჯგუფის 2024 წლის ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები:

$$\text{ლიკვიდურობის კოეფიციენტი} = \frac{\text{მოკლევადიანი აქტივები}}{\text{მოკლევადიანი ვალდებულებები}} = \frac{27,442,001}{2,111,061} = 12,99$$

$$\text{სწრაფი ლიკვიდურობა} = \frac{\text{მოკლევადიანი აქტივები-მარაგები}}{\text{მოკლევადიანი ვალდებულებები}} = \frac{25,320,033}{2,111,061} = 11,99$$

ჯგუფის კაპიტალი

ჯგუფის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 1,159,321 ლარს.

2024 წლის საწყისი გაუნაწილებელი მოგების ნაშთი შეადგენდა 29,660,192 ლარს. 2024 წლის წმინდა მოგებამ შეადგინა 7,217,555 ლარი, ხოლო ჯგუფის მფლობელებზე გაიცა 5,239,987 ლარის დივიდენდი.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ჯგუფის ბიზნესის სპეციფიკა შეიცავს გარკვეულ რისკებს, მათ შორის აღსანიშნავია ვალუტის კურსის ცვალებადობა და სარეალიზაციო მარაგების იმპორტის პროცესის პერიოდული შეყოვნება. რისი თავიდან არიდებისთვის ხშირი კონტაქტი და მონიტორინგი გვაქვს როგორც მომწოდებელთან, პროდუქციის გამოგზავნამდე, ასევე სატრანსპორტო კომპანიასთან.

არაფინანსური ანგარიში

სოციალური პასუხისმგებლობა

უპირველესი სოციალური პასუხისმგებლობა, რომელიც ჯგუფის უშუალო საქმიანობას უკავშირდება, მომხმარებლებისათვის სტაბილური და ხარისხიანი პარტნიორობის გაწევაა.

კორპორატიულ-სოციალური პასუხისმგებლობა

ჯგუფი აცნობიერებს თავის კორპორატიულ პასუხისმგებლობას და თვლის, რომ შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს საზოგადოების მდგრად განვითარებაში. ჯგუფი ითვალისწინებს ძირითად დაინტერესებულ მხარეებს (კლიენტებს, თანამშრომლებს, კრედიტორებსა და ფართო საზოგადოებას) სამუშაო სტრატეგიის შემუშავებისა და ოპერაციების გაუმჯობესებისათვის.

ადამიანთა უფლებების დაცვა

ჯგუფში მაქსიმალურად დაცულია ადამიანთა ძირითადი უფლებები, მათ შორის შრომითი უფლებები.

ჯგუფი დასაქმების თანაბარ შესაძლებლობებს სთავაზობს ყველა კანდიდატს განურჩევლად რასის, რელიგიის, სქესის, ეროვნების, ასაკის, და ა.შ. ეს პოლიტიკა ძალაშია დასაქმების ყველა პირობის შემთხვევაში, მათ შორის: დაქირავების, დაწინაურების, ხელშეკრულების გაფორმების, კომპენსაციის, ტრენინგის და სხვა შრომით სამართლებრივი მოქმედებების შემთხვევაში.

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 1 დეკემბერს:

გიორგი ქირია

დირექტორი

შპს ქეი ემ სი გლასი

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

არაფინანსური ანგარიში

სოციალური პასუხისმგებლობა

უპირველესი სოციალური პასუხისმგებლობა, რომელიც ჯგუფის უშუალო საქმიანობას უკავშირდება, მომხმარებლისათვის სტაბილური და ხარისხიანი პარტნიორობის გაწევაა.

კორპორატიულ-სოციალური პასუხისმგებლობა


ჯგუფი აცნობიერებს თავის კორპორატიულ პასუხისმგებლობას და თვლის, რომ შეუძლია თავისი წვლილი შეიტანოს საზოგადოების მდგრად განვითარებაში. ჯგუფი ითვალისწინებს ძირითად დაინტერესებულ მხარეებს (კლიენტებს, თანამშრომლებს, კრედიტორებსა და ფართო საზოგადოებას) სამუშაო სტრატეგიის შემუშავებისა და ოპერაციების გაუმჯობესებისათვის.

ადამიანთა უფლებების დაცვა

ჯგუფში მაქსიმალურად დაცულია ადამიანთა ძირითადი უფლებები, მათ შორის შრომითი უფლებები.

ჯგუფი დასაქმების თანაბარ შესაძლებლობებს სთავაზობს ყველა კანდიდატს განურჩევლად რასის, რელიგიის, სქესის, ეროვნების, ასაკის, და ა.შ. ეს პოლიტიკა ძალაშია დასაქმების ყველა პირობის შემთხვევაში, მათ შორის: დაქირავების, დაწინაურების, ხელშეკრულების გაფორმების, კომპენსაციის, ტრენინგის და სხვა შრომით სამართლებრივი მოქმედებების შემთხვევაში.

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 1 დეკემბერს:



გიორგი ქორია

დირექტორი